აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, III საფეხური (დოქტორანტურა)

ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 05/10/2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 12/11/2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საჯარო მმართველობა
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საჯარო მმართველობის დოქტორი/Doctor of Public Administration
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება, 0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	სასწავლო კომპონენტი - ECTS 60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი პროგრამა

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნოდარ ხერხეულიძე, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ოთარ ბაღათურია, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა არის ახალი პროგრამა. პროგრამის მიზნები მოიცავს საჯარო მმართველობის დარგის განვითარების ხელშეწყობას, როგორც ახალი ცოდნის შექმნით, ასევე კვლევისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებით. აღნიშნული ეხმიანება უსდ-ში მისივე დაარსების დღიდან ჩამოყალიბებულ ტრადიციას საჯარო მმართველობის სფეროში სწავლებისა და კვლევის მხარდაჭერა-წახალისების მიმართულებით და სრულ შესაბამისობაშია ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მისიასთან.

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა მოიცავს სულ მცირე 6 სემესტრს (3 წელი). სასწავლო კომპონენტს ეთმობა 60 კრედიტი, ხოლო კვლევითი კომპონენტი გულისხმობს პროსპექტუსისა და კოლოქვიუმის დაცვას რაც ორი სამეცნიერო პუბლიკაციის ვალდებულებასთან ერთად სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობაა. სადოქტორო პროგრამის ფინალური კომპონენტია სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **2021 წლის 3 სექტემბრის # 858247 ბრძანების** საფუძველზე შექმნილმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის შესაფასებლად აკრედიტაციის ვიზიტი უსდ-ში განახორციელა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით 2021 წლის 5 ოქტომბერს.

ონლაინ აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უსდ-ს ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ფაკულტეტის დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის

თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს.
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა), დათვალიერება განხორციელდა, ონლაინ ფორმატში უშუალოდ აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელების დროს. სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ვიზიტის მსვლელობისას ჩატარებული შეხვედრები და პროგრამაზე თანდართული დოკუმენტების შეფასება საკმარისი აღმოჩნდა ექსპერტთა ჯგუფისთვის, რომ დეტალურად განეხილა პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა სრულად შესაბამისია აკრედიტაციის მოქმედ სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**
- რეკომენდირებულია, რომ სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კომპონენტებში (ცხრილი #2) - დაზუსტდეს სადოქტორო სემინარი I და მითითება გაკეთდეს, რომ ამ კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტებს მოუწევთ საჯარო ადმინისტრირების კონკრეტული სფეციფიური თემის დამუშავება;
- რეკომენდებულია სადოქტორო პროგრამის არჩევითი კომპონენტი გაძლიერდეს საჯარო ადმინისტრირების სფეროს მიკუთვნებული სასწავლო კურსით (ერთი სასწავლო კურსი) რომელიც პროგრამის აღწერილობაში მოცემული საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე მიაწოდებს ინფორმაციას დოქტორანტებს. მიზანშეწონილია, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსს ტანდემური ლექციების ფარგლებში გაუძღვნენ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებად მოაზრებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. აღნიშნული მიმართულებით ჩაატაროს შესაბამისი ტრეინინგები და სამუშაო შეხვედრები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული (#1203856, 09/11/2021) კორესპონდენციის პასუხად, რომელსაც თან ერთვის უსდ-ს არგუმენტირებული პოზიცია (N 02-21/228, 08/11/2021) ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან და რჩევასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის შემდეგს:

არ იქნა გაზიარებული უსდ-ს არგუმენტაცია **პირველ რეკომენდაციასთან** დაკავშირებით, განსაკუთრებით აღნიშნული რეკომენდაციის რჩევაში გადატანასთან მიმართებით, რადგან რჩევა თავისი არსით ნებაყოფლობით შესრულებას ითვალისწინებს. აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ პროგრამის სტრუქტურა პოტენციური აპლიკანტისთვის გახდეს უფრო ნათელი და გასაგები. აღსანიშნავია ასევე ის გარემოებაც, რომ პროგრამის კურიკულუმის სტრუქტურის შეფასება განხორციელდა არა პროგრამის ხელმძღვანელის გადასახედიდან, არამედ იმ კანდიდატის ინტერესების

საუკეთესოდ გათვალისწინების გადასახედიდან, რომელმაც უნდა გააგრძელოს სწავლა სადოქტორო პროგრამაზე. სემინარი I სახელწოდებაში საჯარო მმართველობის დაუზუსტებლობის შემთხვევაში იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროგრამას აქვს მხოლოდ ერთადერთი დარგობრივი კომპონენტი, რაც არის შესაბამისი პროფილის საგანი - „საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის წამყვანი თეორიული და კვლევითი ასპექტები“.

მოცემული რეკომენდაციის შესრულება არ წარმოადგენს სირთულეს, რადგან ის სემინარი I - სახელწოდების დაზუსტებას ხდის აუცილებელს იმის მითითებით, რომ აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებს საჯარო ადმინისტრირების კონკრეტული სპეციფიური თემის დამუშავებას. მოცემული რეკომენდაცია გაიცა იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული შეკითხვები პოტენციური კანდიდატების მხრიდან. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ პროგრამის თანმხლები სილაბუსების გაცნობა სააპლიკაციო ეტაპზე იშვიათად ხდება. სათაურის დაუზუსტებლობის შემთხვევაში იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოცემული სადოქტორო პროგრამა საჯარო მმართველობის სახელს ატარებს, მაგრამ მასში შესაბამისი დარგობრივი სასწავლო-კვლევითი კომპონენტი მინიმალურად არის გათვალისწინებული.

არ იქნა გაზიარებული უსდ-ს არგუმენტაცია **მე-2 რეკომენდაციასთან** დაკავშირებით, რადგან პროგრამაზე მიღების წინაპირობები ითვალისწინებს ისეთი აპლიკანტების მიღების შესაძლებლობასაც ვისაც საჯარო მმართველობის მიმართულებით წინა საფეხურზე სწავლის პერიოდში არ აქვთ მიღებული პროფილური განათლება. მხოლოდ ერთი დარგობრივი სასწავლო კურსი - „საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის წამყვანი თეორიული და კვლევითი ასპექტები“, რომელიც წარმოდგენილია 8კრედიტიანი (200 საათი) დატვირთვით ვერ უზრუნველყოფს საჯარო მმართველობის წინა საფეხურის განათლების არ მქონე პრაქტიკოსი აპლიკანტებისთვის, ისეთი უნარების განვითარებას, რომლებიც მათ კონკურენტუნარიანად აქცევს საჯარო მმართველობის ხარისხის მქონე აპლიკანტებთან შედარებით. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ პროგრამის კურიკულუმით გაწერილი კვლევითი თემატიკა ბევრ ისეთ საინტერესო და მნიშვნელოვან თემას მოიცავს, რომელიც არ არის დაფარული ზემოთხსენებული სასწავლო კურსით და მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდოთ დოქტორანტებს მათივე ცოდნის გამდიდრების მიზნებისათვის.

ამასთანავე არ იქნა გაზიარებული უსდ-ს პოზიცია იმასთან მიმართებით, რომ სემინარი I იმავე შედეგებზე გაიყვანს პროგრამის კურსდამთარებულს, რაზედაც ტანდემური ფორმატით ჩატარებული სალექციო კურსი, რადგან სემინარი I არის კვლევითი კომპონენტი, შესამისად დოქტორანტს ავალდებულებს, რომ საჯარო მმართველობის ერთი კონკრეტული თემიდან გამომდინარე დაამუშაოს საკითხი, რაც მას არ აძლევს ინფორმაციას საჯარო მმართველობის იმ მრავალფეროვანი თემების შესახებ რისი გაგება-გახსენებაც შესაძლებელია სწორედ ტანდემური ლექციების არჩევითი სასწავლო კურსის ფარგლებში.

აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებაც არ არის რთული იმ მდიდარი აკადემიური რესურსების გათვალისწინებით, რაც აქვს უსდ-ს და ამავდროულად აღნიშნული რეკომენდაცია მნიშვნელოვანია პროგრამის კურსდამთარებულებისათვის პროგრამის მიზნებთან თავსებადი უნარების ჩამოყალიბებისათვის.

რაც შეეხება დასკვნაში ასახულ **რჩევას** ამასთან დაკავშირებით უსდ-ს პოზიცია მის გათვალისწინებასთან დაკავშირებით ნათელია და რჩევის არსიდან გამომდინარე მეტი დაზუსტების საჭიროება ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არ არსებობს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- დოქტორანტებისთვისკვლევითიუნარებისგამომუშავებაზეორიენტირებულობა და მათი ფინანსური მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმები.
- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის განხორციელება დაგეგმილია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში. პროგრამით განსაზღვრულია 4 ძირითადი მიზანი როგორიცაა 1) სფეროში ახალი ცოდნის გენერირება 2) სფეროში მაღალკვალიფიციური მკვლევრების მომზადება 3) სფეროში კვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადება და 4) სფეროში სამეცნიერო პროდუქციის კომერციალიზაციის განვითარება. პროგრამაში თითოეული მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული და დეტალურად არის ახსნილი: • „საჯარო მმართველობის სფეროში ახალი ცოდნის გენერირება - პროგრამის მიზანია საჯარო მმართველობის სფეროში არსებული ცოდნის გაათვართოება დარგის უახლესი მიგნებების საფუძველზე, დარგის განვითარება ორიგინალური თეორიული და/ან მეთოდოლოგიური ხედვების შემოთავაზებით, საჯარო მმართველობის სფეროში არსებული აქტუალური საკითხების სისტემური და კრიტიკული გააზრების, ანალიზის და შეფასების გაღრმავება ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მისაღებად. ახალი ცოდნის გენერირება, რაც გულისხმობს მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქტის შექმნას ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შესაბამისად, (საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). დარგის პოპულარიზაციის ხელისშეწყობა საზოგადოებრივი პრობლემების ეფექტური მართვის მიზნით. • საჯარო მმართველობის სფეროში მაღალკვალიფიციური მკვლევრების მომზადება - პროგრამის მიზანია კადრების მომზადება, ვინც ახალი ცოდნის შექმნის მიზნით ახორციელებს ინოვაციურ კვლევებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით, შეიმუშავებს ახალ მეთოდებს არსებულზე დაყრდნობით და გამოიყენებს პრაქტიკაში, დამოუკიდებლად გეგმავს, აწარმოებს და ახორციელებს საჯარო მმართველობის სფეროში აქტუალურ და პრობლემურ საკითხებზე კვლევით პროექტებს, მათ შორის ინტერდისციპლინურ კონტექსტში. პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულისთვის ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის უნარის გამომუშავება როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოებისათვის როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე;

- საჯარო მმართველობის სფეროში კვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადება - პროგრამის მიზანია სწავლება/სწავლის უახლესი მეთოდებისა და სტრატეგიების მცოდნე კვალიფიციური აკადემიური კადრების მომზადება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, ვინც სტუდენტებს საკუთარ ცოდნასა და უნარებს გადასცემს, ხელს უწყობს მომავალი თაობის პროფესიულ განვითარებას და შესაბამისი წვლილი შეაქვს საზოგადოებრივ წინსვლაში;
- საჯარო მმართველობის სფეროში სამეცნიერო პროდუქციის კომერციალიზაციის განვითარება - პროგრამის მიზანია კადრების მომზადება, ვისაც აქვს სამეცნიერო პროდუქციის კომერციალიზაციისა და სოციეტალური პრობლემების ინოვაციური გადაწყვეტის უნარი როგორც საგანმანათლებლო სფეროში, ისე შრომის ბაზარზე."

თითოეული მიზანი მოიცავს ცოდნის, პრაქტიკული უნარისა და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობის კომპონენტს, რაც ნათლად ჩანს მიზნების დეტალური აღწერის ნაწილში. თვალსაჩინოებისთვის ასევე წარმოდგენილია მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა, რომელიც ვიზუალურად წარმოაჩენს მიზნების შესაბამისობას ცოდნის, უნარისა თუ პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის კომპონენტებთან.

განსაზღვრული მიზნები სავსებით რეალისტური და მიღწევადია და შინაარსობრივად სრულად შეესაბამება როგორც დარგის სპეციფიკას, აგრეთვე სადოქტორო სწავლების საფეხურს. მიზნები ასევე შესაბამისობაშია GIPA-ს გრძელვადიან ხედვასა და დეკლარირებულ მისიასთან, რომელშიც მკაფიოდ არის წარმოდგენილი უსდ-ს ხედვა ქვეყნისა და რეგიონის დემოკრატიული განვითარების პროცესში ახალი ცოდნის შექმნის, საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევით საქმიანობისა და პროფესიული უნარების განვითარების მნიშვნელობის შესახებ.

პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევები, რაც ასახულია დამსაქმებელთა გამოკითხვისა და შრომის ბაზრის კვლევების ანგარიშებში და მოიცავს მონაცემების ანალიზს სხვადასხვა წყაროებიდან როგორიცაა linkedin, jobs.ge, და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო. აღსანიშანვია, რომ საერთაშორისო დონეზე მეორადი მონაცემების დამუშავებასთან ერთად (მაგ: 2017 Career Tracking Survey of Doctorate Holders; Tracking the careers of Doctorate Holders Council for doctoral education 2020") პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებულია შრომის ბაზრის ფართომასშტაბიანი კვლევა ეროვნულ დონეზე, რომელიც 2019 წელს განხორციელდა GIPA-სა და სხვა კერძო უსდ-ების ერთობლივი ძალისხმევით.

ზოგადად, საჯარო მმართველობის მიმართულებით პროგრამების ინტერნაციონალიზაცია შეიძლება GIPA-ს ძლიერ მხარედ ჩაითვალოს. საჯარო ადმინისტრირების სკოლების ეროვნულ ასოციაციასთან (NASPAA, U.S.A.) თუ სხვა პროფესიულ ასოციეციებთან და პროგრამებთან თანამშრომლობა სწავლების, აკადემიური მხარდაჭერისა თუ კვლევითი მიმართულებით, GIPA-ს უპირატესობას წარმოადგენს. წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის ჭრილში აღსანიშნავია ტროის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში ინგლისურენოვანი რეფერირებადი ელექტრონული ჟურნალი - Journal of Politics and Democratization, რაც საჯარო მმართველობის დოქტორანტებისთვის უნიკალურ შესაძლებლობას წარმოადგენს აკადემიური ნამუშევრების გამოქვეყნებისა თუ ხარისხის ინტერნაციონალიზაციის კუთხით. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუსას

აღინიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის ამუშავებსთან ერთან, GIPA გეგმავს ძალისხმევის გაძლიერებას საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში აკადემიური ნამუშევრების რაოდენობის გაზრდის მიზნით, ასევე, ერთობლივ საერთაშორისო გამოყენებით და აკადემიურ კვლევით პროექტებში გააქტიურებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის მიზნები ნათლად ასახავს საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის მიმართულებას და მნიშვნელობას, გამომდინარეობს და შეესაბამისობაშია უსდ-ს გრძელვადიან ხედვასთან და სავსებით აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა ● უნივერსიტეტის მისია ● უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა; ● შრომის ბაზრისა და დამსაქმებლებთან შეხვედრების ანალიზი ● საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ● ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებულია 9 სწავლის (პროგრამული) შედეგი. შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას, რომლებსაც პროგრამა გამოუმუშავებს კურსდამთავრებულებს. პროგრამის 9 შედეგიდან 3 ორიენტირებულია ცოდნის, 4 პრაქტიკული უნარის და 2 პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტზე. პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგი შეესაბამება რამდენიმე განსაზღვრულ მიზანს, რაც მკაფიოდ აჩვენებს თითოეული პროგრამის შედეგისა და მიზნის შესაბამისობას. თვალსაჩინოებისთვის ასევე წარმოდგენილია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.

პროგრამის შედეგების შემუშავებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის, პოტენციური დამსაქმებლების და აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეკომენდაციები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, დამსაქმებლებსა და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგებით.

პროგრამის შედეგები გაზომვადია და სავსებით შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. მიუხედავად, იმისა, რომ განსახილველი სადოქტორო პროგრამა აკრედიტაციისთვის შემოთავაზებულია როგორც ახალი პროგრამა, სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მიმართულების ფარგლებში, მას განხორციელების რამდენიმეწლიანი ისტორია გააჩნია. შესაბამისად, ახალი პროგრამა ითვალისწინებს როგორც მიმდინარე პროგრამის ზოგადი გამოცდილების, ასევე მისი შედეგების შეფასებას, რომელიც ხორციელდება სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში სტუდენტების მიერ მიღწეული საშუალო შედეგების მიხედვით. აღნიშნულზე დაყრდნობით თითოეული შედეგესთვის შემუშავებულია დადებითი ნიშნის მიღების სამიზნე ნიშნული 15% გადახრით, რაც ეფუძნება მოქმედი სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის ფარგლებში არსებულ გამოცდილებას. აღსანიშანვია, რომ პროგრამაში წარმოდგენილია ასევე სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომელშიც თითოეული სწავლის შედეგისთვის, სამიზნე ნიშნულთან ერთად, მითითებულია მონაცემების შეგროვების პერიოდულობა, პასუხისმგებელი პირი/პირები/სამსახური და შეფასების განმახორციელებელელი.

აგრეთვე წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც ასახავს სწავლის შედეგების მიმართებას სავალდებულო და არჩევით საგნებთან სამდონიანი მაჩვენებლით, როგორციაა I (Introduction), D (Development) და M (Mastering). ასევე მოცემულია პრაქტიკული კომპონენტის აღმნიშვნელი P, რომელიც რუკაზე გვაჩვენებს საგნების პრაქტიკული კომპონენტის მიმართებას კონკრეტულ შედეგთან.

წარმოდგენილი ინფორმაცია და ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ სწავლის შედეგები გაზომვადი და რელევანტურია და შეესაბამება სფეროს სპეციფიკას. შედეგების გასაზომად წინასწარგანსაზღვრული პერიოდულობით ხდება მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, რაც გამოიყენება პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან.
- თვითშეფასება
- პროგრამის სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გაჭირვალეა და დეტალურად განსაზღვრავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შეუძლიათ საჯარო მმართველობის ან მომიჯნავე სფეროების სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებს. პროგრამის წინაპირობები ასევე განსაზღვრავს ინგლისური ენის ჩაბარებისა და გასაუბრების კომპონენტებს. დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა ჩააბაროს ინგლისური ენა B2 დონეზე ან წარმოადგინოს ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი. კანდიდატის ენის გამოცდისგან დამატებით გათავისუფლების საფუძველია საზღვარგარეთ მიღებული საბაკალავრო ან სამაგისტრო განათლება. პროგრამაზე მიღების წინაპირობები ასევე მოიცავს გასაუბრებას დარგობრივ კომისიასთან, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს: ა) კანდიდატის მოტივაცია; ბ) დარგობრივი ცოდნა; გ) კვლევით საპროექტო განაცხადში

წარმოდგენილი საკითხის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე; დ) გამოქვეყნებული ან დასაბეჭდად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა ავტორობით ან თანაავტორობით; ე) სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები; ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისია პროგრამის სპეციფიკასთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● სადოქტორო პროგრამის აღწერილობა; ● თვითშეფასების ანგარიში; ● აკრედიტაციის ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა აგებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და უსდ-ში მოქმედი შიდა რეგულაციების დაცვით. სადოქტორო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. სადოქტორო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მომიჯნავე სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისა დაკ ურსდამთავრებულების, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, დამსაქმებლებისა და გარე ექსპერტიზის წარმომადგენლებმა.

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის კომპონენტები ემყარება მარტივიდან რთულისაკენ გადანაწილების პრინციპს.

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტისგან, აქედან სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 ECTS კრედიტს.

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტები მოიცავს კვლევითი უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებულ ინტენსიურ სასწავლო კურსებს, კერძოდ: კვლევა და სამეცნიერო წერა, თვისებრივი კვლევის მეთოდები, რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი, სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები, პროფესორის ასისტენტობა, სადოქტორო სემინარი I, მეცნიერების მენეჯმენტი, კომერციალიზაცია და ფონდების მოძიება, საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის წამყვანი თეორიული და კვლევითი ასპექტები.

პროგრამის არჩევითი სასწავლო კომპონენტები მოიცავს სადოქტორო სემინარ II და დარგთან დაკავშირებულ სადოქტორო სასწავლო კურსის გავლას უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტისთვის სამეცნიერო კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას, რაც საბოლოოდ სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას და კვლევის პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას წარმოადგენს პირველ ეტაპზე პროსპექტუსის, ხოლო შემდეგ კოლოქვიუმის დაცვა.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას, ასევე წარმოადგენს არანაკლებ ორი საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაცია.

სადოქტორო პროგრამა სრულდება სადოქტორო დისერტაციის წარმოდგენით და საჯაროდ დაცვით.

პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული საკმაოდ ინტენსიური კვლევითი კომპონენტი რომელიც განაწილებულია როგორც სავალდებულო ასევე არჩევით კომპონენტში, თუმცა მეტი თვალსაჩინოებისათვის რეკომენდირებულია, რომ სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კომპონენტებში (ცხრილი #2) - დაზუსტდეს სადოქტორო სემინარი I და მითითება გაკეთდეს, რომ ამ კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტებს მოუწევთ საჯარო ადმინისტრირების კონკრეტული სფეციფიური თემის დამუშავება;

ასევე იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე სწავლას ასევე გააგრძელებენ მომიჯნავე სფეროს სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებულები რეკომენდებულია

სადოქტორო პროგრამის არჩევითი კომპონენტი გაძლიერდეს საჯარო ადმინისტრირების სფეროს მიკუთვნებული სასწავლო კურსით (ერთი სასწავლო კურსი) რომელიც პროგრამის აღწერილობაში მოცემული საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე მიაწოდებს ინფორმაციას დოქტორანტებს. მიზანშეწონილია, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსს ტანდემური ლექციების ფარგლებში გაუძღვნენ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებად მოაზრებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● თვითშეფასების ანგარიში; ● საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის აღწერილობა; ● საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის სილაბუსები; ● სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; ● პროსპექტუსის შესრულების ინსტრუქცია და შეფასების ფორმა; ● კოლოქვიუმის შესრულების ინსტრუქცია და შეფასების ფორმა; ● სადოქტორო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია.
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია, რომ სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კომპონენტებში (ცხრილი #2) - დაზუსტდეს სადოქტორო სემინარი I და მითითება გაკეთდეს, რომ ამ კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტებს მოუწევთ საჯარო ადმინისტრირების კონკრეტული სფეციფიური თემის დამუშავება; რეკომენდებულია სადოქტორო პროგრამის არჩევითი კომპონენტი გაძლიერდეს საჯარო ადმინისტრირების სფეროს მიკუთვნებული სასწავლო კურსით (ერთი სასწავლო კურსი) რომელიც პროგრამის აღწერილობაში მოცემული საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე მიაწოდებს ინფორმაციას დოქტორანტებს. მიზანშეწონილია, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსს ტანდემური ლექციების ფარგლებში გაუძღვნენ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებად მოაზრებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის კურიკულუმით გაწერილია სასწავლო და კვლევითი კომპონენტები. თითოეული კომპონენტი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევას. კომპონენტების მიზნები და სწავლის შედეგები თავის მხრივ გაწერილია თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებში.

სასწავლო კურსებისათვის კრედიტების მინიჭება ხდება უსდ-ში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების (კრედიტების საათების განსაზღვრის) შესაბამისად.

სწავლის შედეგები შეესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სადოქტორო საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერთან, რაც აისახება შესაბამის სილაბუსებში მოცემულ სწავლის შედეგებში.

საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში გამოყენებული ძირითადი სწავლება-სწავლის მეთოდები გულისხმობს ლექციას, ჯგუფურ მუშაობას, პრაქტიკულ მუშაობას, სემინარს, ელექტრონული რესურსით სწავლებას. აღნიშნული სწავლის მეთოდები მოცემულია შესაბამის სილაბუსებში და უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების სილაბუსებით ასევე გაწერილია სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები.

სასწავლო კურსების სილაბუსები აგებულია კურსით მოცული საკითხების გარშემო არსებულ უახლეს გამოცემებსა და სამეცნიერო კვლევების შედეგებზე დაყრდნობით.

სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს ასევე მიეცემათ შესაძლებლობა ERASMUS + KA2-ის პროექტის ,,საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო

კვლევების განვითარების ხელშეწყობა" (Raising Research Capacity of Georgian HEIs throug Developing R&D Units/HERDR) ფარგლებში ქართველი მეცნიერებისა და მკვლევრების მონაწილეობით შექმნილ სამეცნიერო პორტალზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • საჯარომმართველობისსადოქტოროპროგრამისსილაბუსები; • საჯარომმართველობისსადოქტოროპროგრამის აღწერილობა; • სასწავლოპროცესისმარეგულირებელიწესები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებულია დოქტორანტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტები, რაც გამოხატულებას ჰპოვებს, როგორც სასწავლო კურსებში ასევე კვლევით კომპონენტებში. დოქტორანტები ასევე ჩართულნი არიან ERASMUS + KA2-ის ფარგლებში განხორციელებულ პროექტში ,,საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა" (Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units/HERD), რომელიც ქართველი მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის მიზნით ავითარებს ეროვნულ სამეცნიერო პორტალს. სადოქტორო საფეხურის იმ სტუდენტებს რომლებიც დისერტაციის დასრულების ეტაპზე იმყოფებიან აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ აკადემიური ანაზღაურებადი შვებულებით - ე.წ. research sabbatical. კვლევების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან ასევე გამოყოფილია სადოქტორო სასტიპენდიო დაფინანსება Ph.D Research Support Scholarship, რაც გამოიყენება სადოქტორო კვლევის ფარგლებში განსახორციელებელი ემპირიული მონაცემების შეკრებისა და გაანალიზებისთვის. აღნიშნული კომპონენტისთვის გამოყოფილია 12000 ლარი. დოქტორანტებს ასევე შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის კვლევების დეპარტამენტის მიერ გამოყოფილ საუნივერსიტეტო მცირე კვლევების საგრანტო პროექტებშიც, როგორც დამოუკიდებლად ასევე აკადემიურ პერსონალთან ერთად. უსდ ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციასა და საერთაშორისო სეზონურ სკოლაში, კერძოდ: International Electronic Scientific and Practical Journal «WayScience», 12th International Scientific and Practical Internet Conference - MODERN MOVEMENT OF SCIENCE. Dnipro, Ukraine. 2021; ENTO Study Lab in Ukraine Cities in transition – Moral and Physical regeneration & renovation, 23-26 October, 2018 Slavutych, Ukraine; University of Economics, Prague - საზაფხულოსკოლა: Marketing Inspiration Summer School 2019", Warsaw School of Economics - საზაფხულო _სკოლა: „Summer University Warsaw 2019"; University of Gothenburg (Gothenburg, Sweden) - საზაფხულო _სკოლა: "Summer Academy for Young Professionals"; Darmstadt University of Applied Sciences (Germany, Darmstadt) - Virtual Winter University Program"; Leibniz Universität Hannover and University of Kaiserslautern (Germany, Hannover) „European Winter School on Education for Democracy; Fontys University of Applied Sciences (Netherlands, Eindhoven) დასხვა. დოქტორანტებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ საკუთარი პუბლიკაციები როგორც უსდ-ს ფარგლებში არსებულ ინგლისურენოვან რეცენზირებად ჟურნალში „Journal of Politics and Democratization" ასევე პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებთან არსებული თანამშრომლობის ფორმატში. დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები ასევე მონაწილეობენ როგორც შოთა რუსთაველისა და DAAD-ის ერთობლივ კვლევით პროექტებში ასევე UNDP-ის მხარდაჭერილ პროგრამებში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის და საჯარო მოხელის ინსტიტუტის ურთიერთმიმართების საკითხებზე. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ექსპერტებს მიაჩნიათ რომ პროგრამა შესაბამისია 2.4 სტარნდარტის მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამა;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- http://jpd.gipa.ge/ სამეცნიეროჟურნალი „Journal of Politics and Democratization";
- https://herd.tsu.ge/ka/categori/29/Consortia;
- სახელმძღვანელო: „მეწარმეობაახალისაწარმოსწარმატებითწამოწყება";

http://laterna.ge/?cat=89&show=24317#.YNyKO-hLiyI

- საუნივერსიტეტოკვლევისპროგრამისფარგლებშიგამოცემულისტატიებისკრებული - https://www.amazon.com/Public-Policy-Politics-Georgia-Post Soviet/dp/3838215354?fbclid=IwAR2s89a3q4atNiB09U-fMMcxbpO-sCAPLYOqL_ua05MzIU1E10634JM041U

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o დოქტორანტებისთვისკვლევითიუნარებისგამომუშავებაზეორიენტირებულობა და მათი ფინანსური მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით და თანდართული სილაბუსებით დასტურდება, რომ სასწავლო კომპონენტში გამოყენებულია შემდეგი სწავლება-სწავლის მეთოდები: ლექცია, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ისევე როგორც, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, მოხსენება, დედუქცია-ინდუქცია, როლური თამაშები, სიმულაციები, გონებრივი იერიშის ტექნიკა, შემთხვევების ანალიზი (Case study), პანელური განხილვები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL).

სალექციო კურსების სილაბუსები ითვალისწინებენ სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ სხვადასხვა მეთოდს. სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა არსებული მეთოდებიდან იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს, რაც გაწერილია ინდივიდუალურად თითოეულ სილაბუსში. სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის სილაბუსები;
- საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის აღწერილობა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა

აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე - აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სტუდენტების ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების კანონით დადგენილი კრიტერიუმები; პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო დისციპლინების სწავლებისას, თითოეულ დისციპლინაში სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" - შესაბამისი შეფასების სისტემით. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილი სტუდენტისათვის. სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და ფინალურ შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს დასკვნით შეფასებას - 100 ქულას. შეფასების ფორმა ითვალისწინებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესი კანონთან შესაბამისია, რაც დასტურდება პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებით, პროგრამით, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ - სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, არსებული ნაკლოვანებებისა და პროგრესის გზების შესახებ. საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, დისციპლინის სპეციფიკისა და მახასიათებლების

გათვალისწინებით - იკითხება აკადემიური პერსონალის ინდივიდუალიზმი. შეფასების კრიტერიუმები მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების საშუალებებს. შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს. წარმოდგენილი შეფასებათა მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით (შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით) რისი მეშვეობითაც ხდება სწავლის შედეგების მიღწევის დონის განსაზღვრა.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების სილაბუსებში წარმოდგენილი სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები სრულად შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი მეთოდებით, სტუდენტების შეფასების ნაწილის დამუშავება სილაბუსებში, სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ, ცხადად ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია, თუ როგორი ფორმით და რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით განხორციელდება მათი შეფასება თითოეული აქტივობების გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრულ სავალდებულო და არჩევით საგნებში. პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას დოქტორანტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება დოქტორანტს სასწავლო კურსის დასაწყისში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. დოქტორანტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს როგორც სასწავლო კურსებს, ასევე პროფესორის ასისტენტობას და სადოქტორო სემინარებს. პროფესორის ასისტენტობა და სადოქტორო სემინარის ნაშრომი ასევე ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

სადოქტორო სემინარის შეფასება - დაყოფილია ორ ნაწილად. 60% შეფასებას წერს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღავნელი, ხოლო 40% შეფასება დგება დარგობრივი კომისიის წევრების შეფასებების საშულო არითმეტიკულით.

პროფესორის ასისტენტობას - აფასებს პროფესორი, რომელსაც დოქტორანტი ასისტენტობას უწევს. დოქტორანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებას, (70 ქულა) და დასკვნით შეფასებას (30 ქულა), რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური შეფასების თითოეულ კომპონენტის მინიმალური კომპოეტენციის ზღვარი არის 50%, შესაბამისად, შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი შეადგენს 35 ქულას. პროფესორის ასისტენტობის დასკვნითი შეფასების კომპონენტი ფასდება 30 ქულით. დასკვნით კომპონენტზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელსაც შუალედური შეფასებით მიღებული აქვს მინიმუმ 35 ქულა. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი შეადგენს 15 ქულას. დოქტორანტს პროფესორის ასისტენოტბის კრედიტი ენიჭება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

პროგრამის კვლევითი კომპონენტის ფარგლებში ფასდება, პროსპექტუსი, კოლოქვიუმი და სადისერტაციო ნაშრომი. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობად პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პროსპექტუსი და კოლოქვიუმი უზრუნველყოფს სადისეტაციო ნაშრომის ხარისხიან შესრულებას და მასზე მუშაობის დროში მართვის შესაძლებლობას.

სადოქტორო დისერტაციის დაცვის ერთ-ერთი წინაპირობაა პროსპექტუსის დაცვა, რომელსაც სადოქტორო კვლევის ხელმძღვანელის თანხმობის საფუძველზე, დოქტორანტი წარუდგენს დარგობრივ კომისიას არანაკლებ სამი წევრის შემადგენლობით. პროსპექტუსი ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: საკვლევი თემის აქტუალობა და სიახლე სამეცნიერო და პრაქტიკული თვალსაზრისით; შერჩეული კვლევის თეორიული საფუძვლები, პრობლემის შესაბამისი გააზრება, ფაქტობრივი ინფორმაცია და სამეცნიერო ლიტერატურა; მეორადი კვლევის თანმიმდევრულობა, მასალის კრიტიკული გააზრება, ფაქტების განზოგადება/ანალიზი, არგუმენტირება და შესაბამისი წყაროების გამოყენება; კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად შერჩევა, დაგეგმვა, კვლევის ტექნიკური განხორციელების დეტალური აღწერა; წარმოდგენილი ნაშრომის ტექნიკური გაფორმება; პრეზენტაცია; დისკუსია. პროსპექტუსი დაცულად ითვლება, თუ კომისიის ყველა წევრი ადასტურებს, რომ შესრულებული ნაშრომი აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს და დოქტორანტს ეძლევა უფლება გააგრძელოს კვლევაზე მუშაობა. ერთი უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია გადაამუშაოს ნაშრომი და თავიდან წარმოადგინოს.

სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგი წინაპირობაა - კოლოქვიუმის წარდგენა დარგობრივ კომისიასთან. საკოლოქვიუმო ნაშრომი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: წარმოდგენილი შედეგების სიახლე; კვლევის სისტემურობა და კავშირი კვლევის მიზნებსა და შედეგებს შორის; კვლევის მეთოდოლოგია და სამეცნიერო ეთიკის სტანდარტების დაცვა; მოპოვებული მონაცენების კრიტიკული ანალიზი; ნაშრომის გაფორმება; პრეზენტაცია; დისკუსია. დოქტორანტს კოლოქვიუმის წარდგენის უფლება ეძლევა მეცნიერ-ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის შედეგად. დოქტორანტის კოლოქვიუმი ფასდება

დადებითი ან უარყოფითი შეფასებით კომისიის მიერ არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით. ერთი უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია გადაამუშაოს ნაშრომი და თავიდან წარმოადგინოს ის. თუ შესრულებული ნაშრომი აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს, დოქტორანტს უფლება ეძლევა მუშაობა გააგრძელოს სადოქტორო კვლევაზე.

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში. სადოქტორო დისერტაცია ფასდება ერთჯერადად საჯაროდ წარმოდგენის შემდეგ სადისერტაციო კომისიის მიერ. საჯაროდ დაცვამდე ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის შემდეგ დისერტაცია მოწმდება ანტიპლაგიატის პროგრამის საშუალებით და შემდეგ გადაეცემა რეცენზენტებს, რომელთაგან ერთი არ არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი. რეცენზენტების დადებითი შეფასების წარმოდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭო აკომპლექტებს სადისერტაციო კომისიას არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. სადისერტაციო კომისიის წევრი სავალდებულოა ფლობდეს დოქტორის აკადემიურ ხარისხს (ან მასთან გათანაბრებულს). დისერტაცია ფასდება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით: დარგის/ქვედარგის ან/და დარგთაშორისი სფეროს განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი სადისერტაციო თემის აქტუალობის და სიახლის გათვალისწინებით; სადისერტაციო ნაშრომის თანმიმდევრულობა, სისტემური კვლევა და კავშირი კვლევის მიზნებსა და შედეგებს შორის; კვლევის მეთოდოლოგიური გამართულობა, ინოვაციურობა და სამეცნიერო ეთიკის სტანდარტების დაცვა; კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხარისხი;

საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების სისრულე და კრიტიკული ანალიზი; დისერტაციის გაფორმების (მათ შორის მითითების/ციტირების) სათანადო წესის/წესების დაცვა; სადისერტაციო ნაშრომში დასმული ძირითადი პრობლემის/პრობლემების წარმოჩენა; პრეზენტაციის შინაარსის და სტრუქტურის გამართულობა პრეზენტაციის ვიზუალური და ტექნიკური გამართულობა (მათ შორის ცხრილებისა და გრაფიკების); დისკუსია დაცვის პროცესში დასმულ კითხვებზე ადეკვატური და დასაბუთებული პასუხების გაცემა.

სასწავლო, კვლევით და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული უკმაყოფილების შემთხვევაში, დოქტორანტი უფლებამოსილია დასაბუთებული წერილობითი განცხადებით მიმართოს სადისერტაციო საბჭოს, რომელიც განიხილავს სტუდენტის მიერ წარმოდგენილ წერილობით განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას სააპელაციო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ.

სააპელაციო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან. სააპელაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს, სკოლის აკადემიური საბჭოს და/ან უნივერსიტეტის აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელი. გასაჩივრებული საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია საჩივრის განსახილველად სააპელაციო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირმაც უნივერსიტეტის სივრცის მიღმა. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. გასაჩივრების უფლებით ასევე, სარგებლობს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატი, რომელსაც უფლება აქვს გაასაჩივროს სადოქტორო პროგრამის მისაღები დარგობრივი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რისთვისაც დასაბუთებული განცხადებით მიმართავს პროგრამის სადისერტაციო საბჭოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უსდ-ს საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო პროგრამა;
- ეთიკის და ქცევის კოდექსი;
- სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- პროგრამის სილაბუსები;
- პროსპექტუსის შესრულების ინსტრუქცია და შეფასების ფორმა;
- კოლოქვიუმის შესრულების ინსტრუქციები და შეფასების ფორმა;
- დისერტაციის შესრულების ინსტრუქცია;
- ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუ - დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: დაწესებულების მიერ პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდასამართლებრივი აქტებით, ადვილად გასაგები და მარტივად ხელმისაწვდომია. სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ კონსულტაცია და მხარდაჭერა სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, კარირეულ განვითარებასთან დაკავშირებით. დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილია სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა თუ სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. სტუდენტებს საშუალება ექნებათ წინასწარ გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი დისციპლინა. სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და შესაძლებლობა ექნებათ ქონდეთ

კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე შეუზღუდავი წვდომა წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, მრავალფეროვან საბიბლიოთეკო რესურსებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე. უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის მეშვეობით, ყველა სერვისის ხელმისაწვდომობა მოქნილი და კომფორტულია. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების, აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის მობილობას საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებში, კვლევითი პროექტების დაფინასებას/თანადაფინანსებას. დაწესებულება პროგრამის განხორციელების ფარგლებში გეგმავს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, სტიპენდიების გაცემას, მათი დაფინანსება/თანადაფინანსებას კვლევით პროექტებში, საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სხვა ტიპის აქტივობებში. უსდ ჩართულია "ერაზმუს +" პროგრამაში ასევე, პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება აქვს; ახორციელებს კარიერული განვითარებისთვის მხარდამჭერ ღონისძიებებს. დაწესებულების მომიჯნავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში გააჩნია დიდი გამოცდილება ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსებში, სტუდენტების მონაწილეობის მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების შესახებ. სადოქტორო პროგრამის განხორციელების ფარგლებში, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, დაწესებულება გეგმავს აქტიურ თანამშრომლობას საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ინსტიტუციებთან. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მზად არის, საერთაშორისო მობილობის ფარგლებში, საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებულ კონკურსებში გაუწიოს მხარდაჭერა დოქტორანტებს, კვლევითი პროექტების განხორციელებაში. დაწესებულება გამოთქვამს მზადყოფნას და გააჩნია სათანადო რესურსი(ები), უზრუნველჰყოს დოქტორანტების კონკურენტუნარიან კადრებად მომზადება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● სადოქტორო პროგრამა; ● პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები; ● პროგრამის სილაბუსები; ● პროგრამის ბიუჯეტი; ● პარტნიორ ორგანიზაციებთან და ინსტიტუციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები; ● აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსამთავრებულებთან ● მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ● უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. სადოქტორო პროგრამას ანხორციელებენ და ხელძღვანელობენ აკადემირი ხარისხისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელები. დაწესებულება სადოქტორო პროგრამის თითოეულ სტუდენტს სთავაზობს კვალიფიციურ ხელმძღვანელს რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია, თუ რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს აკადემიური/მოწვეული პერსონალი იმისათვის, რომ ისინი უფლებამოსილნი იყვნენ უხელმღვანელონ სტუდენტს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობისას დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და აქვს დოქტორანტის სადისერტაციო კვლევასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი

პუბლიკაციები. ასევე შესაძლებელია დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომს ხელმძვანელობა გაუწის შესაბამისი დარგის მოწვეულმა პერსონალმა, რომელიც წარმოადგენს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან კვლევითი ცენტრის თანამშრომელს, ფლობს დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და უდასტურდება სადისერტაციო კვლევასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში კვლევის გამოცდილება. მეცნიერ-ხელმძღვანელთან უნივერსიტეტი აფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას, რის საფუძველზეც იგი ერთვება დოქტორანტის კვლევის პროცესში. ყველა დოქტორანტს ეყოლება ინდივიდუალური მეცნიერ- ხელმძღვანელი, რომელიც მას გაუწევს რეგულარულ კონსულტაციას, არანაკლებ სამი საათის განმავლობაში თვეში. მეცნიერ-ხელმძღვანელი ვალდებულია 6 თვეში ერთხელ პროგრამის ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს წარუდგინოს დოქტორანტთან გაწეული მუშაობის შეფასება პროგრამაში არსებული შეფასების ფორმის მიხედვით. საუნივერსიტეტო პოლიტიკის თანახმად, ერთმა მეცნიერ- ხელმძღვანელმა შეიძლება უხელმძღვანელოს არაუმეტეს 5 აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტს აკადემიური წლის განმავლობაში. მეცნიერ-ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესთან დაკავშირებული საკითხები წარმოდგენილია სადოქტორო პროგრამების დებულებაში და განზასღვრულია მეცნიერ-ხელმძღვანელის სამუშოს აღწერილობის დოკუმენტით და ხელშეკრულებით.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტთა კვლევითი უნარების გამომუშავებასა და განვითარებაზე. კვლევითი ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო პრეზენტაციას წინ უძღვის კვლევითი უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსები, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის ცოდნის გაღრმავებას, მისი კვლევითი უნარების განვითარებას, მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის. სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტების სწავლება მიზნად ისახავს, დოქტორანტს მისცეს შესაძლებლობა გაიღრმავოს ცოდნა, რაც მას დაემხარება პროფესიულ ზრდასა და განვითარებაში, აგრეთვე, საკვლევ თემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისა და საბოლოო შეფასების პროცედურები, სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესი დეტალურად არის განსაზღვრული შესაბამისი შიდასამართლებრივი აქტებით. დაწესებულებაში მოქმედებს ეთიკისა და ქცევის კოდექსი, რომელშიც არეგულირებს სტუდენტების მხრიდან აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმების დაცვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამა; დებულება; პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- პროგრამის სილაბუსები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების, მოწვეული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები(CV).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს უზრუნველყოფს სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალით. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტს ახორციელებს 25 აკადემიური და 2 მოწვეული პერსონალის წარმომადგენელი საიდანაც 20 არის მეცნიერ-ხელმძღვანელი. თანაფარდობა მეცნიერ-ხელმძღვანელებსა და დოქტორანტებს შორის შეადგენს 20/10-თან. პროგრამის მდგრადობას სხვა ფაქტორებთან ერთად ასევე უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალის სიმცირე. სადოქტორო პროგრამას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და ადმინისტრაციული ხელმძღვანელი, რომელიც აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სადოქტორო პროგრამას ჰყავს უსდ-ს აკადემიური პერსონალისგან დაკომპლექტებული სადისერტაციო საბჭო რომელშიც შედიან დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. უსდ-ს შიდა რეგულაციებით ასევე დადგენილია საბჭოში შემავალი მოწვეული წევრების საკვალიფიკაციო და კვოტირების მოთხოვნები. პროგრამის აკადემიურ ხელმძღვანელს აქვს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კვალიფიკაცია და კომპეტენცია, რაც დასტურდება თანდართული პირადი საქმით, შესაბამისი სასწავლო და კვლევითი გამოცდილებით, ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით და არაერთი საერთაშორისო პროექტის ხელმძღვანელობით, საიდანაც თვალსაჩინოებისთვის გამოვყოფთ მხოლოდ ორ პროექტს (დანარჩენი პროექტები

ჩამოთვლილია ქვევით): 1)საჯარო მოხელეთა პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და უმაღლესი საჯარო მოდელის როლი, UNDP, საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა; 2) „კონფლიქტის პრევენცია და მშვიდობის შენება სოციეტალური გადაწყვეტის დონეზე“ HORIZON 2020 – EU Whole-of-Society Conflict Prevention and Peacebuilding (EU-WOSCAP), 653866 – WOSCAP –H2020-BES-2014-2015/H2020-BES-2014, Local Expert, Project Coordinator.

სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელის კვალიფიკაცია დასტურდება თანდართული პირადი საქმით, სწავლების მრავალწლიანი გამოცდილებით, ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული პუბლიკაციებით. მის კვალიფიკაციას ასევე უსვამს ხაზს ის გარემოება, რომ ის ამავდროულად არის უსდ-ს სადოქტორო პროგრამის და პოლიტიკის შეფასების ცენტრის ხელმძღვანელი და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტი, პროგრამების შემუშავების მრავალწლიანი გამოცდილებით.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა მოცემულია მათ პირად საქმეებში. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების, რაც მოიცავს სტატიებს, მონოგრაფიებს, ანგარიშებს, კვლევებს, წიგნებს - რაოდენობა 50-ს აღემატება. აკადემიური პერსონალი ასევე აქტიურად იღებს მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებსა და საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე დაფინანსებულ საგრანტო კვლევით პროექტებში, საიდანაც აღსანიშნავია:

- Early Postdoc Mobility Grant, შვეიცარიის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (SNF);
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „ RUSTAVELI – DAAD”-ის სასტიპენდიო პროგრამის გრანტი;
- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2018 წლის ახალგაზდა მეცნიერთა კვლევითი გრანტი;
- ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის კვლევითი პროექტი „გარემოს დაცვის პოლიტიკის ადვოკატირება თბილისში - Research Beyond the Ivory Tower: Policy and Communications Training for University Teams Programme, NUPI, Norwegian Institute of International Affairs fellowship for research - SOS Tbilisi: Does Environmental Civic Participation Enable Deliberative Democracy in Georgia?
- ინდიკატორი სახეობების მონიტორინგი საქართველოს შერჩეულ დაცულ ტერიტორიებზე. პროექტი დაფინანსებული იქნა კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) და გლობალური გარემოს ფონდის GEF-ის მიერ;
- გაეროს განვითარების პროგრამის UNDP-ის მიერ დაფინანსებული პროექტი - გაეროს სამი კონვენციის შესრულების ხელშეწყობა: ინსტიტუციონალური მოწყობისა და ანგარიშგების შესაძლებლობების შეფასება“ კლიმატის ცვლილებისა და ბიომრავალფეროვნების კომპონენტი.

პროგრამასთან ასოცირებული აკადემიური პერსონალი ასევე მონაწილეობს UNDP-ის ეგიდით განხორციელებულ საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) პროცესში პოლიტიკის კოორდინაციისა და დაგეგმვის ნაწილში, რაც მხარდაჭერილია ევროკავშირისა და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ.

გარდა მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალისა დოქტორანტები ასევე უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამხმარე პერსონალით, IT ტექნოლოგიების, ფინანსური მენეჯმენტის, დასუფთავებისა და უსაფრთხოების გამართულად წარმართვისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები; • თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური,

სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმმართველია კვლევების დეპარტამენტი. უსდ-ში აკადემიური პერსონალის კვლევების ხელშესაწყობად მოქმედებს შიდასაუნივერსიტეტო საკონკურსო საგრანტო პროგრამა, რაც ავტორიზაციის პროცესში გამოიყო როგორც საუკეთესო პრაქტიკა. 2021 წლიდან გამოიყო ელექტრონული სახელმძღვანელოების მხარდაჭერის საგრანტო დაფინანსება ყოველწლიურად 3 პროექტის დაფინანსების ფარგლებში თითოეული პროექტისთვის 8000 ლარის ოდენობით, რომელიც ემსახურება დარგში არსებული დეფიციტური ქართულენოვანი სახელმძღვანელოების ვაკუუმის შევსებას. 2018 წლიდან შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის ერთერთი მთავარი კრიტერიუმი გახდა ინტერდისციპლინური კვლევების წახალისება, რაც აისახა ბოლო 5 წლის განმავლობაში დაფინანსებულ პროექტებში: ორგანიზაციის ეფექტიანობის საზომები *GIPA*-ში*, 2016;* Entrepreneurial უნივერსიტეტის პერსპექტივა საქართველოს განათლების ბაზარზე; კვლევითი პროექტი - ატიპური მუშაკების სოციალური დაცვა საქართველოში: სოციალური პოლიტიკის რესტრუქტურირების საჭიროება; კვლევითი პროექტი ანტიპლაგიატის პროგრამული უზრუნველყოფის ეფექტურობა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს შორის; კვლევითი პროექტი - საქართველოში საბაკალავრო განათლების პროგრამების არჩევანზე მოქმედი ეგზოგენური ფაქტორები; კვლევითი პროექტი - ეფექტიანი თვითმმართველობის განმაპირობებელი ფაქტორები საქართველოში და სხვა. უსდ ასევე ფინანსურად აქტიურად უჭერს მხარს აკადემიური პერსონალის მონაწილეობის დაფინანსებას ინტერდისციპლინურ საერთაშორისო კონფერენციებში საიდანაც აღსანიშნავია შემდეგი: 2019 წლის _21-22 ოქტომბერს ამსტერდამში ჩატარებული კლიმატის ცვლილების მე-6 საერთაშორისო კონფერენცია; Public administration reform of Ukraine in the context of the world's best practices of Good Governance; PRIORITIZATION OF PERFORMANCE MEASURES USING AHP ლონდონში მრავალკრიტერიუმიანი გადაწყვეტილების ანალიზის მეთოდოლოგიისა და თეორიის საერთაშორისო სიმპოზიუმი და სხვა. უსდ ასევე დიდ ყურადღებას უთმობს აკადემიური პერსონალის ცნობიერების ამაღლებას აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართულებით რაც დაინერგა ერასმუსის პროექტის - Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia ფარგლებში.

აკადემიური პერსონალის განვითარებაზე ზრუნვის მორიგი გამოხატულებაა ასევე 2014-2016 წლებში ტროის უნივერსიტეტთან (აშშ) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში დაარსებული აკადემიური, რეცენზირებადი, ინტერდისციპლინარული, ინგლისურენოვანი ონლაინ ჟურნალი - Journal of Politics and Democratization.

უსდ ასევე არის რამდენიმე მნიშვნელოვანი პროფესიული ასოციაციის წევრი (NASPAA, NISPAcee, ENTO) და აქტიურად მუშაობს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების კვლევითი აქტივობების წახალისებისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებთ.

უსდ-ში ასევე მოქმედებს სწავლების სრულყოფის ცენტრი რომლის ეგიდითაც სისტემატურად ტარდება ტრენინგები აკადემიური პერსონალისთვის. ტრენინგებიდან გამოვყოფთ რამდენიმეს: „შედეგზე ორიენტირებული სწავლება“, (GIPA); „მოტივაციის ალქიმია და მისი მართვა“; „პერსონალური მონაცემების დაცვა და დამუშავება“; „შეფასების ინსტრუმენტები და უკუკავშირის სტრატეგიები“ და სხვა.
2016 წლიდან უსდ აქტიურად მონაწილეობს ერასმუსის International Credit Mobility – ICM სქემაში და შესაძლებლობას აძლევს როგორც სტუდენტებს ასევე აკადემიურ პერსონალს, რომ განახორციელონ საერთაშორისო მობილობები კვლევების ჩასატარებლად და ლექციების წასაკითხად.

უსდ-ს აკადემიური პერსონალი ასევე აქტიურად იღებს მონაწილეობას საჯარო და კერძო სექტორის ორგანიზაციებისთვის საკონსულტაციო საქმიანობის გაწევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკრედიტაციის ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუები;
- მემორანდუმები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- რუსთაველის ფონდის სტიპენდიანტების ხელშეკრულებები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- Turnitin -ის პროგრამის შესყიდვის დოკუმენტაცია;
- პერსონალის განვითარების მიზნით განხორიცელებული ღონისძიებები;
- პროფესიულ ასოციაციებში წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია -NASPAA, NISPAcee, ENTO.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ონლაინ ჩატარებულმა აკრედიტაციის ვიზიტმა ცხადყო, რომ დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია უსდ-ს ინფრასტრუქტურა და მატერიალუ-ტექნიკური ბაზა, რაც მოიცავს სრულად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილ ბიბლიოთეკას, სწავლება-სწავლის პროცესის წარმართვისთვის საჭრო კომპიუტერულ პროგრამებს და სხვა.

პროგრამის განსახორციელებლად საჭირო სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა დაცულია და ონლაინ ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო სივრცეში. უსდ-ს სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა დისტანციურად ისარგებლონ უსდ-სთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული ბაზებით (EBSCO; JSTOR; Elsevier; Cambridge Journals Online; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier).

სადოქტორო პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებულ იქნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი შენობა-ნაგებობები, სადაც დაცულია COVID პანდემიისთვის გათვალისწინებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ როგორც შესაბამისი კოორდინატორის ასევე უსდ-ს ვებ-გვერდის მეშვეობით, საჯაროობისა და

ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- ონლაინ მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობა;
- საერთაშორისო ელექტორნულ ბაზებზე წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- შენობა-ნაგებობის მფლობელობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას. პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის გარდა პროგრამის დაფინანსების წყაროა ასევე უსდ-ს ცენტრალურ ბიუჯეტში არსებული თანხები, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ხარჯების, პროგრამის ადმინისტრაციის წევრების შრომის ანაზღაურების, სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის ჰონორარების, მეცნიერ-ხელმძღვანელების შრომის ანაზღაურების, რეცენზენტების შრომის ანაზღაურების, სადოქტორო სემინარის ხელმძღვანელობის ჰონორარის, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ლიტერატურისთვის გამოყოფილი ფინანსების, საკანცელარიო საქონელის, დისერტაციის საჯაროდ დაცვის ორგანიზაბის ხარჯების და სხვათა დაფარვას. ცენტრალურ და პროგრამულ ბიუჯეტში ასევე ინტეგრირებულია პერსონალისა და სტუდენტების კვლევებისა და კონფერენციებზე მონაწილეობის დაფინანსება. უსდ-ს კვლევების დეპარტამენტი სადოქტორო სასტიპენდიო დაფინანსებით (წლის განმავლობაში 4 დოქტორანტის ემპირიული კვლევის განსახორციელებელი ხარჯების დაფარვა) ხელს უწყობს სადოქტორო პროგრამის სტუდენტების კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას. სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა სადისერტაციო ნაშრომებზე მუშაობის მხარდაჭერისთვის უსდ-ში ასევე მოქმედებს ე.წ. Research Sabbatical.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი; ● აკრედიტაციის ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები; ● თვითშეფასების ანგარიში; ● დოქტორანტი თანამშრომლების სწავლის საფასურის დაფინანსების ბრძანებები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც გეგმავს და მონაწილეობას იღებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ისე სასწავლო პროცესისა და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებაში. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, კერძოდ კი, საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასება ეფუძნება ორ ძირითად დოკუმენტს: „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“ და „ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“. წარმოდგენილი რეგულაციებისდა შესაბამისად, სამსახური პერმანენტულად ამოწმებს და აფასებს საგანმანათლებლო პროგრამასა და მასში შემავალ სასწავლო კურსებს, აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების მუშაობის ეფექტიანობას, სასწავლო გარემოსა და მატერიალურ ბაზას; ადგენს და აანალიზებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს, დამსაქმებელთა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს და სხვ.

უნივერსიტეტში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი პროცესი PDCA ციკლის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს პროცესების დაგეგმვას, განხორციელებას, შემოწმებასა და განვითარებას. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის თანამონაწილეობა ძირითადად უზრუნველყოფილია სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების რეგულარული გამოკითხვებითა და სამუშაო შეხვედრებით.

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის შემუშავების პროცესში, თვითშეფასების ანგარიში, თანდართული დოკუმენტები და ინტერვიუს შედეგები ცხადყოფს, რომ ჩართული იყო როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისე დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. რაც შეეხება პროგრამისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესსა და შესაბამისი მექანიზმების შემუშავებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთა თანამშრომლობით, ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ნაკლებად იცნობს პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტებს. სასურველია, აღნიშნული მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა, ჩაატაროს შესაბამისი ტრეინინგები თუ სამუშაო შეხვედრები განმახორციელებელი პერსონალის ცნობიერების ამაღლების მიზნით პროგრამის შეფასების მექანიმზებთან დაკავშირებით, რადგან მიგვაჩნია, რომ პროგრამის პერსონალმა აუცილებელია იცოდეს ერთი მხრივ, როგორ და რა პერიოდულობით ხორციელდება პროგრამის შეფასება, ხოლო მეორე მხრივ, თუ მის სასწავლო კურსს (განსაკუთრებით, სავალდებულო კურსების შემთხვევაში) რა წილი დატვირთვა/ვალდებულება აქვს პროგრამის სწავლის შედეგის/შედეგების მიღწევისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. აღნიშნული მიმართულებით ჩაატაროს შესაბამისი ტრეინინგები და სამუშაო შეხვედრები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიში და ინტერვიუს შედეგები ცხადყოფს, რომ საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა შეფასდა ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ. პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა, როგორც დარგობრივი თვალსაზრისით, ისე საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.

უცხოელი გარე შემფასებლის მიერ განხილულ იქნა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, ისევე როგორც პროგრამის კურიკულუმი, რომლებიც შეფასდა დადებითაც. უცხოელი ექსპერტის მოსაზრებით წარმოდგენილ პროგრამაში, განსხვავებით წინა პროგრამისგან შემცირებული იყო პროგრამის ინტერდისციპლინურობის კომპონენტი, რასაც პროგრამის ხელმძღვანელი არ იზიარებს. აღსანიშნავია, რომ საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს სამართალმემკვიდრეს სოციალური მეცნიერების პროგრამისა, რომლის ქუდქვეშ გაერთიანებული იყო 3 მიმართულება (საჯარო მმართველობა, პოლიტიკური მეცნიერებები, ფსიქოლოგია), რაც ექსპერტის აზრით, იძლეოდა ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელების უფრო ფართო შესაძლებლობას. უნივერსიტეტისა და პროგრამის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით ზემოაღნიშნული 3 მიმართულება დღესდღეობით იქცა დამოუკიდებელ 3 პროგრამად. ვფიქრობთ, საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის მსგავსი მოდიფიცირება არ გამორიცხავს მის ფარგლებში განხორციელებული კვლევების ინტერდისციპლინურობის შემცირებას.

რაც შეეხება ქართველი ექსპერტის მიერ პროგრამის საკრედიტაციო პაკეტის შეფასებას, განხორციელდა სამუშაო/სატრენინგო შეხვედრების ფარგლებში, სადაც განხილულ იქნა როგორც პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, ისე მისი დოკუმენტიის შემუშავების პრინციპები და პროცედურები.

მართალია თვითშეფასების ანგარიშის თანდართულ დოკუმენტაციაში ვერ ვხედავთ გარე ექსპერტთა ოფიციალურ დასკვნებს, თუმცაღა დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განმარტებით ექპერტებთან ძირითადად შედგა ზეპირი და ელექტრონული ფოსტით კომუნიკაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- გარე შემფასებლის რეზიუმე;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზანია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობით განხორციელების უზრუნველყოფა, სასწავლო და კვლევითი პროცესის, ადამიანური რესურსისა თუ მატერიალური ბაზის შეფასება სტუდენტთა,

აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და გარე ექსპერტების მონაწილეობით.

საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით უნივერსიტეტი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ და „ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს“ დოკუმენტებზე დაყრდნობით ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის სხვადასხვა ფორმას იყენებს, მათ შორის: ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების კვლევა და ანალიზი; შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საგანანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა; კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი და სტატისტიკური აღრიცხვა; სასწავლო პროცესის სემესტრული ანგარიში; ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომლების, უნივერსიტეტის სკოლების პროგრამების ხელმძღვანელებისა და კოორდინატორების მიერ ერთმანეთის სასწავლო პროგრამების შეფასება;სტუდენტების მიერ ლექტორებისა და სასწავლო კურსების შეფასება; ლექტორის მიერ ჯგუფის შეფასება; სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შეფასება (სტუდენტების შეფასების და GPA-ს დისტრიბუცია); სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ფოკუს-ჯგუფების ანალიზი და სხვ.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პირველ ეტაპზე განხორციელდა შრომის ბაზრის მოთხოვნათა განსაზღვრა და გაანალიზება. ამავე მიზნით, სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების საიტები (jobs.ge და LinkeDin); განიხილა და გაითვალისწინა შემდეგი კვლევები: 2017 წლის Career Tracking Survey of Doctorate Holders, ჩატარებული Science Connect-ის მიერ; საქართველოს ეროვნული შრომის ბაზრის კვლევა (2019), ჩატარებული სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ, GICE Partnership-ის დაკვეთით, ჯიპას, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის, შავი ზღვის უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის ეგიდით; EUA CDE-ის თემატური ანგარიში „Tracking the careers of Doctorate Holders Council for doctoral education 2020“.

პროგრამის შემუშავებისა და პირველადი შეფასების შემდგომ ეტაპზე ჩატარდა სამუშაო შეხვედრები დამსაქმებლებთან, რათა მომხდარიყო მათი საჭიროებების იდენტიფიცირება, შესაბამისი რჩევებისა და რეკომენდაციების საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვა.

გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა ახალია და მას არ ჰყავს სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დაწესებულების მიერ განხორციელდა მოქმედი სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა, რა მიზნითაც გაიმართა სამუშაო შეხვედრები. სამუშაო შეხვედრაზე სტუდენტთა მიერ შეფასდა სასწავლო პროცესი, საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირება, პროგრამის აკადემიური ნაწილი; მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება; გაიცა რეკომენდაციები ახალი პროგრამების შემუშავებისა და სრულყოფისთვის. კურსდამთავრებულებთან შეხვედრის ფარგლებში კი ყურადღება გამახვილდა სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაზე, პროფესიული განვითარების შეფასებაზე. ამავდროულად, კურსდამთავრებულთა მიერ გაიცა რეკომენდაციების ახალი პროგრამების შემუშავებისა და სრულყოფისთვის.

დაწესებულების საუნივერსიტეტო პოლიტიკის შესაბამისად, პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით ხორციელდება ანალოგი პროგრამების ანალიზი და მათთან პროგრამის დადარება. წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა შედარდა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ სადოქტორო პროგრამებთან. უფრო კონკრეტულად კი, შესწავლილ იქნა ანალოგი პროგრამების მიზნები და შედეგები, სასწავლო გეგმები, სასტიპენდიო და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, ადმინისტრირების საკითხები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის განხორციელების შეფასებისა და პერიოდული მონიტორინგის მიზნით დაგეგმილია სადისერტაციო კვლევაზე მუშობის პროცესის შეფასება. შეფასება, ერთი მხრივ, გულისხმობს ყოველ 6 თვეში ერთხელ, კითხვარის საფუძველზე, დოქტორანტის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელის და მის მიერ გაწეული კონსულტაციების შეფასებას, ხოლო მეორე მხრივ, სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეულ სამუშაოს შეაფასებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსები; o სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; o ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; o ეროვნული შრომის ბაზრის კვლევა - ხელშეკრულება; o ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული სადოქტორო პროგრამების კვლევის ანგარიში; o სტუდენტებთან ჩატარებული შეხვედრის ანგარიში; o აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული შეხვედრის ანგარიში; o კურსდამთავრებულებთან ჩატარებული შეხვედრის ანგარიში; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა, III (დოქტორანტურა)
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 48

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნინო ფარსადანიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნოდარ ხერხეულიძე

ქრისტინე ჩიხლაძე

თათია უბერი